

სპორტი

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

1 ივნისი ოთხშაბათი 2011
№ 126 (13423) ფასი 60 თეთრი

გაბელიაჲ ჟანგური...
უკოფლიაჲოდ გაუზუა



ოთარ გაბელია



გიორგი გოგიტაშვილი

ნაკრები პატრიარქა დალოცა

ბრიგალავა
თბილისშია



საქართველოს ნაკრები სიონის საკათედრო ტაძარში

ფოტო: www.gff.ge



რევიზილი და გელაშვილი საბოლოოდ გამოირიხსა

2



კალაქე იგალიაში მხველავს შორის მუორაა

საქართველოს ნაკრების კაპიტანი მხოლოდ მილანის
ბრაზილიელ ლეგიონერს ტიაგო სილვას ჩამორჩა

La Gazzetta dello Sport-ის ნომინანტები

2

იუვენტუსი კონგას ჩააბარეს

8



საქართველოს ნაკრები ფინალისთვის იზრკოლავს


რაბბი. მსოფლიო ალაფი

13



სეოულზე კარიერა დაასრულა

10



საზონის ნოინანობა

დასასრული, დასაწყისი ლელო №125 (13 422)



შეპარე გიორგი ლორია (ლინაპო)

უმალეს ლიგაში ყველაზე ნაკლები გოლი როინ კვასცაძემ („ზესტაფონი“) და ომარ მიგინიშვილმა („ტორპედო“) გაუშვეს, თუმცა ჩემპიონატის საუკეთესო მეკარედ „ლელომ“ თბილისის „დინამოს“ კარის დარაჯი, 25 წლის გიორგი ლორია მიიჩნია! ბოლო ორი სეზონია, ლორია უაღრესად სტაბილურად ასპარეზობს და არაფის გაუკვირდა, საქართველოს ნაკრების შემადგენლობაშიც რამდენიმე შთამბეჭდავი მატიჩი რომ ჩაატარა; ამას გარდა, არც ის არის პატარა ამბავი, მეკარე რომ თავისი გუნდის ერთ-ერთ ლიდერად მიიჩნევა, — სწორედ ასეთი სიტუაციაა ლორიას შემთხვევაში და არც არავინ უარყოფს, ჩინებული ფიზიკური მონაცემების მქონე ეს მეკარე ბოლო 2 წლის განმავლობაში „დინამოს“ ლიდერად რომ ჩამოყალიბდა!

შეპეილი გიორგი ონიანი (ჯესტაფონი)

როცა ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები შემოგთავაზებთ, დაცვის ოთხეული ასე გამოიყურებოდა: **თომასვილი-რეხვიასვილი-ჩიკვილაძე-ხმალაძე**; მაშინაც აღვნიშნეთ, რომ ამ შემთხვევაში პრიორიტეტი ტურისა და თვის სიმბოლურ ნაკრებებს მივანიჭეთ. სამაგიეროდ, „ლელოში“ ჩატარებულ „შიდა გამოკითხვაში“ საუკეთესო მცველის ნომინაციაში „ზესტაფონის“ უკანანა ზელმა, მეორე ეტაპზე გუნდის კაპიტანმა, გიორგი ონიანმა გაიმარჯვა! 27 წლის ონიანი უმაღლეს ლიგაში 2002-03 წლების სეზონში გამოჩნდა; თბილისის „ლოკომოტივი“, „ბათუმის“ „დინამო“, რუსთავის „ოლიმპი“, გერმანული „კარლ ცაისი“, — „ზესტაფონში“ ჩარიცხებამდე ონიანი ამ გუნდებშიც დაცვის ერთ-ერთ ლიდერად მიიჩნეოდა; 2007 წელს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გამოკითხვით საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო მცველადაც დაასახელეს და კლაუს ტოპმოლერის დროს საქართველოს ეროვნული ნაკრების კანდიდატადაც მოიაზრებოდა.



ნახევარმეცველი გუგა ღაუპილი (ჯესტაფონი)



XXII ჩემპიონატში არაერთი ნახევარმცველი იყო, მთელი სეზონი მეტ-ნაკლებად სტაბილურად რომ ჩაატარეს და თავიანთი გუნდის ერთ-ერთი ლიდერებიც რომ გახლდნენ: **ალექსანდრე კოშკაძე** („დინამო“), **შოთა გრიგალაშვილი** („ზესტაფონი“), **რევაზ გენაძე** („ოლიმპი“). მიზეზთა გამო ბევრი მატჩის გამოტოვება მოუხდა ვალერი ბოლქვაძეს, — არადა, „სპარტაკის“ 23 წლის ნახევარმცველს სეზონი სრულად რომ ჩაეტარებინა, „ლელოს“ ერთ-ერთ ნომინაციაში აუცილებლად გაიმარჯვებდა. იმავეს ვიტყვით XXII ჩემპიონატის ყველაზე „ცნობად სახეზეც“ — 32 წლის **დავით მუჯირი** ეროვნულ ჩემპიონატს ხანგრძლივი შესვენების შემდეგ დაბრუნდა და დეკემბერში ისეთი ფორმაც „აკრიფა“, სეზონი რომ აქ ჩამეთავრებინა, მხოლოდ საუკეთესო ნახევარმცველობაზე კი არა, საერთოდ, საუკეთესო ფეხბურთელობაზე ექნებოდა პრეტენზია. თუმცა, ამა წლის იანვრიდან მუჯირი თავის საკლუბო კარიერას... იაპონიაში აგრძელებს, სამაგიეროდ იქაური სეზონი სრულად, სტაბილურად და ასაკთან „შუუფერებლად“ მაღალ დონეზე ჩაატარა „ზესტაფონის“ 22 წლის ნახევარმცველმა **ბუბა დაუშვილი**. შეგახსენებთ, რომ „ლელოს“ ვერსიით, დაუშვილი XXII ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დაეასახელეთ და თანამატყუელთა შორისაც საუკეთესოდ მას რომ მიიჩნევიდით, ამას რა მიხედვრა სჭირდებოდა...

თავდასხმელი ნიკოლოზ გელაშვილი (ჯესტაფონი)



ამ ნომინაციაში გამარჯვების უპირველესი კანდიდატი „ზესტაფონის“ 25 წლის ფორვარდი **ნიკოლოზ გელაშვილი** უნდა ყოფილიყო და ვფიქრობთ, „ლელოს“ არჩევანი საკმაოდ არაფისთვის იქნება. გელაშვილი „ზესტაფონში“ 2008 წლის დასაწყისში ჩაირიცხა და სულ მოკლე დროში იმერული კლუბის ერთ-ერთი ლიდერიც გახდა, ყველაფერს თავი რომ დავენებოთ, მართლაც არ არის პატარა ამბავი, როცა ფეხბურთელი ბოლო სამ სეზონში ორჯერ ხდება ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი: პირველად ასეთი მიღწევა გელაშვილს 2008-09 წლების სეზონში ჰქონდა, მეორედ კი ახლახან დასრულებულ ჩემპიონატში. არც ის იყო შემთხვევითი, რომ გასული სეზონის მიხედვით „ტურის სიმბოლურ ნაკრებში“ (13-ჯერ) და „თვის სიმბოლურ ნაკრებშიც“ (ოთხჯერ) ყველაზე მეტჯერ სწორედ გელაშვილი იყო დასახელებული.

გასულ სეზონში ოთხმა ფეხბურთელმა მოახერხა „შეთ-თრქის“ შესრულება: **ირაკლი მოდებაძემ**, **ზვიად მეტრეველმა** და **რევაზ გოცირიძემ** თითო-თითოჯერ თუ შეძლეს ერთ მატჩში სამი გოლის გატანა, გელაშვილის ანგარიშზე ორი „შეთ-თრქია“.

...გუშინაც აღვნიშნეთ, რომ საუკეთესო თავდასხმელობის გარდა, გელაშვილს საერთოდ, ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელობაზეც უნდა ჰქონოდა საცხებით სამართლიანი პრეტენზია. თუმცა, როგორც გუშინ განვმარტებთ, გადამწყვეტი... სანაკრებო ფაქტორი გამოდგა: „ზესტაფონში“ თანაგუნდელ ბუბა დაუშვილისგან განსხვავებით, გელაშვილი საქართველოს ნაკრების ძირითად ფეხბურთელად არ მიიჩნევა; თუმცა, მოდი, ისიც ვაღიაროთ, რომ როცა კი ბოლო წლების საუკეთესო ბომბარდირს ნაკრებში თავის გამოჩენის შანსი ეძლეოდა, თითქმის უმრავლეს შემთხვევაში... სხვა პოზიციაზე უწევდა თამაში. რა თქმა უნდა, ჩვენი უპირველესი გუნდის წინა თუ ახლანდელმა მწვრთნელებმა ყველაზე უკეთ იციან თითოეული ფეხბურთელის შესაძლებლობები, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი აზრი გავაჩნია (გნებავთ, სუბიექტური დაარქვით): გელაშვილი გამოკვეთილ თავდასხმეულად უფრო წარმოგვიდგენია, ვიდრე მარცხენა გარემარბად, ანდა... მთლიანად, ფლანგის გამკონტროლებელ ფეხბურთელად...

საქართველო ვაშვლელი რატი ნინამძღვრიშვილი (ჯესტაფონი)

2007-08 წლების სეზონში თბილისის „ამერის“ (გახსოვთ, ეს, მართლაც გამორჩეული გუნდი?) საუკეთესო ბომბარდირი 13 გოლით **დიმიტრი ტატანაშვილი** გახდა; ყველაზე უცნაური ის იყო, რომ ტატანაშვილმა ამ 13 გოლიდან 10... შეცვლებზე შემოსულმა გაიტანა! მომდევნო სეზონში თითქმის ანალოგიური მაჩვენებელი ჰქონდა თბილისის „დინამოს“ ჩერნოგორიელ ლეგიონერს **ილია სპასოვიჩის** — ჩემპიონატში 13-ჯერ ისახელა თავი და აქედან 8 გოლი შეცვლაზე შემოსულმა გაიტანა. თუმცა, ამ სეზონში ყველა რეკორდი დაემხო: „ზესტაფონის“ 23 წლის თავდასხმელმა **რატი ნინამძღვრიშვილმა** მეტოქეთა კარში 13 გოლი გაიტანა და ეს, ცამეტჯერე შეცვლაზე შემოსულმა მოახერხა! პო, მართლაც უჩვეულო შედეგია და, ალბათ, დიდი დრო უნდა გავიდეს, ტრავმებისაგან განაშვებული და დიდ ფეხბურთში „ზესტაფონის“ მიერ დაბრუნებული ნინამძღვრიშვილის ეს მაჩვენებელი ვინმემ გააუმჯობესოს. სხვათა შორის, ნინამძღვრიშვილს კიდევ ერთი სარეკორდო მაჩვენებელითაც შეუძლია თავი მოინიწოს: გასულ სეზონში ყველაზე მეტი (4) „დუბლი“ სწორედ მან შეასრულა! ისე, როგორი საქმეა: ზოგიერთი ჩვენი თავდასხმელი თითქმის ყველა მატჩს ძირითადში იწყებდა და სეზონის განმავლობაში 4-5 გოლი თუ გაჰკონდა; აი, ნინამძღვრიშვილი კი მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდებოდა ხოლმე და „დუბლის“ შესასრულებლად ხშირად... 5-10 ნუთიც „ჰყოფნიდა“!



მოვლანა „გაგრას“ ბრიშვილი



უკვე მერამდენე წელიწადია, „ლელო“ სეზონის ნომინატებს ასახელებს და მხოლოდ ახლაც ისეთი შემთხვევა, როცა სეზონის გამორჩეულ ფეხბურთელთა შორის... პირველი ლიგის წარმომადგენლებიც არიან. გუშინვე შეიტყობდით, რომ სეზონის საუკეთესო ლეგიონერად „გაგრას“ შემტევი, 18 წლის **აბაიომი ოვონიკოკო** მივიჩნიეთ; დღეს კი, სეზონის მოვლენად გვინდა საერთოდ, ამ გუნდის ტრი-

უმფული ასპარეზობა დაეასახელოთ: პირველ ლიგაში „გაგრამ“ ფავორიტის სტატუსიც გაამართლა და ერთწლიანი პაუზის შემდეგ კვლავაც უმაღლეს ლიგაში იასპარეზებს! თუმცა, ამ გუნდმა ბევრად უფრო დიდ წარმატებას საქართველოს თასის გათამაშებაში მიიღწია: მეოთხედფინალში ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულიან გუნდს, თბილისის „დინამოს“ აჯობა, ნახევარფინალის ორივე შეხვედრაში პირნიშნად დაჯაბნა იმ დროისათვის თასის მოქმედი მფლობელი „ვიტ ჯორჯია“ და ფინალში გასულით ქართული ფეხბურთის ისტორიაშიც შევიდა! პო, აქამდე ხომ არასდროს მომხდარა, პირველი ლიგის გუნდი ფინალში რომ გასულიყო, თუმცა „გაგრას“ იმ მართლაც ტრიუმფული სულას სულაც ზღაპრული ეპოლივი ჰქონდა: გუნდმა საქართველოს თასი და ევროპის ლიგის საგზური მოიპოვა! ამ ახალგაზრდული გუნდის წარმატებაში თითოეულმა ფეხბურთელმა უდიდესი წვლილი შეიტანა, ისე როგორც კლუბის ყველა მუშაკმა; თუმცა, განსაკუთრებით გვინდა ორი პიროვნების ლეანლი აღვნიშნოთ: დაარსების დღიდან კლუბის უცვლელად პრეზიდენტმა **ბესო ჩიხრაძემ** „გაგრას“ სახით ქართულ ფეხბურთს ერთი, მართლაც საკუთარი ხელნერის მქონე გუნდი აჩუქა, ხოლო გამოცდილმა უკრაინელმა სპეციალისტმა, **ანატოლი პისკოვეტმა** მაღალი მიზნებისათვის მებრძოლი კოლექტივი ჩამოაყალიბა და ფეხბურთელებს თავდაჯერება და მოტივაცია შემატა...

იპოვით გაუსხრო

თანამგზავრზე

TURKSAT 3A 42.0°E
12592V, SR 2220, FEC 5/6

იპოვით ნამდვილი აგებვის არსი

გვარილი მოაგზადა
გია ტუსაშვილი



სახალხო ფეხბურთი

● ლილი

აზარი ხელშეუხებელია



ლილის ტრენინგის მთავარი შემოქმედნი მიკაელ ლანდრო, ედენ აზარი და მუსა სოვი

საზრანგბაძის სახლგამომცხვარმა ჩემპიონმა "ლილმა" საბოლოოდ დადასტურა, რომ ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობის გამო ის თავისი ლიდერის, 20 წლის ბელგიელი ედენ აზარის გაყიდვას არ აპირებს. შესაბამისად, "ინტერს", "მანჩესტერ იუნაიტედს", "არსენალს" და "ტოტენჰემს" კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. "ჩვენ არ ვაპირებთ ედენის გასხვისებას, - განუცხადა "ფრანს ფუტბოლს" "ლილის" პრეზიდენტმა მიშელ სეიდუმ. დიდი სჯაბაასის შემდეგ ხელმძღვანელობა მივიდა დასკვნამდე, რომ ფეხბურთელის გაყიდვა გუნდს უფრო დიდ ზიანს მოგვაცუენებს, ვიდრე ნებისმიერ თანხას შეუძლია სარგებლის მოტანა. რამდენიც უნდა შემოგვთავაზონ, უარს

ვიტყვი. ან დასრულებულ სეზონში ჩვენ ორი ტიტული მოვიპოვეთ და სამომავლოდ გუნდის უფრო გაძლიერებასა და განვითარებას ვეგეგმავთ. აზარი კი ზუსტად ის ფეხბურთელია, რომელიც განვითარებაში ხელს ბევრად მეგვიწყობს".

სამაგიეროდ, "ლილს" სხვა ლიდერებთან გამოთხოვება მოუწევს. გუმინ-ნინ კლუბმა დადასტურა, რომ იოან კაბასი "ნიუკასლთან" მოლაპარაკების უფლება მისცა, გუმინ კი "კაჭკაჭებმა" "ძალეების" კიდევ ერთი ნამყვანი ფეხბურთელის, კოლტვიფარელი ჟერვინოს ხელში ჩაგდება მოინდომეს. აფრიკელმა კლუბის ხელმძღვანელობას მოსაფიქრებლად ერთი კვირა სთხოვა. ის ამ

დროში საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს და ამის შემდეგ მას პირველ რიგში "ლილის" ხელმძღვანელობას აცნობებს. "დიახ, იმისთვის, რომ სამომავლო გეგმები დაგვალავო, ერთი კვირა მაინც მჭირდება. მომინოს ინგლისური პრემიერლიგა, მაგრამ არანაკლებ საინტერესო შემთავაზებები მაქვს ესპანური და გერმანული კლუბებისგან, - განაცხადა დიუჟარელმა. რამდენიმე დღის წინ დასრულებულ სეზონში თავდასხმელმა ჩემპიონატის 38-დან 35 შეხვედრაში ითამაშა და 15 გოლის გარდა 10 შედეგიანი გადაცემის ავტორი გახდა. ლიგა 1-ის ტექნიკურმა კომისიამ ის ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა.

ლევან ბიბილაშვილი

საზრანგბაძის სახლგამომცხვარმა



სალამი ხარლოსს

პარლს ტავესი არგენტინის ნაკრებს უბრუნდება. „მანჩესტერ სიტის“ 27 წლის თავდასხმელი არგენტინელი თავიერო ვუნდის თავკაც სერხიო ბატისტას შარშანდელი ნოემბრის შემდეგ აღარ გამოუძახია. მაშინ, ყაბარში, არგენტინა ბრაზილიას უნდა შეხვედროდა. მეზობლები ასე მორს საჩვენებელ ამხანაგურ მატჩს მართავენ და ტევესმა მასში მონაწილეობა არ მიიღო, რამაც ბატისტა გააბრაზა.

„დღეს ჩვენი შორის ყველაფერი მოგვარებულია — ამბობს ტევესი — ჩვენ კაცურად, პირისპირ ვილაპარაკეთ და ვის რა პრეტენზია ვეკონდა, გაეარკვეთ. ბატისტამ მითხრა, რომ ჩემთან პრობლემა არ არის. მისი თქმით, ყოველთვის სწორად ვიქცეოდი“.

როდესაც ტევესზე ვლაპარაკობთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ კვირას ის თავისი ყოფილი გუნდის, „ბოკა ხუნიორსის“ გულშემატკივრის წინაშე წარდგა. „ლა ბომბინერაზე“ მას მეტად თბილად შეხვდნენ. მოგახსენებთ, ისტელენდელთა ფორვარდს ნათქვამი აქვს, რომ ერთ მშვენიერ დღეს „ბოკაში“ აუცილებლად დაბრუნდება. ამჯერად, ასეთ ტრანსფერზე ლაპარაკი ფინანსურ საკითხთა გამო შეუძლებელია.

აილუ გაზილან ფაზი!

დევიდ ბაქჰემს მაისის დასაწყისში, ამერიკაში ავარია მოუვიდა, ამ დღეებში კი ცნობილი გახდა, რომ 36 წლის ინგლისელ ვარსკვლავს თავისი „კაილაკი“ ზედმეტად ჩქარა მიჰყავდა. ეს ამბავი გამოძიებამ მონშმთა ჩვენების საფუძველზე დაადგინა.

როგორც საინფორმაციო საიტი TMZ იტყობინება, „ლოს ანჯელეს გელქსის“ ნახევარმცველს მანქანა მართლაც დაუღვევრად და სიჩქარის გადაჭარბებით მიჰყავდა. ავარია სან დიეგოს ტრასაზე მოხდა. ბექჰემი გაჩერებულ ავტომობილს დაეჯახა.

მარსკვლავს მანქანაში 12 წლის ვაჟი ბრუკლინი ეჯდა. ბავშვს არაფერი დასაზიანებია. არც თავად ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანს და მართონა რამე, აი, გაჩერებული მანქანის მძღოლი კი საავადმყოფოში მიიყვანეს. ცნობისათვის: ავარიისთვის დევიდ ბექჰემი არც დაუსჯიათ.

ილია ბაბუნაშვილი

● ჰოლანდიის ნაკრები

მან ბრონკჰორსტის რწმუნა

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტი ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი უფასო ოფიციალურ საიტს ჰოლანდიის ნაკრების სამომავლო პერსპექტივებზე ელაპარაკა. ვეტერანი ფეხბურთელის თქმით, "ნარინჯისფერები" არ შეწყვეტენ პროგრესს და ისინი, შესაბამისად, ევროპის მომავალი ჩემპიონატის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად უნდა მივიჩნიოთ. ჯოვანი ფიქრობს, რომ ჰოლანდიელთა მიერ საკვალიფიკაციო ეტაპზე ნაჩვენები ბრწყინვალე ასპარეზობა მაქსიმუმ არ არის და ესპანელების ტახტთან ჩამოგდება მის თანამემამულეებს ნამდვილად შეუძლიათ.

"ფიქრობ, რომ ყველაფერი ჩვენთვის სასიკეთოდ წარიმართება. გუნდის ძირითადი ნაწილი ერთმანეთთან უკვე დიდი ხანია თამაშობს და ბიჭებს ერთმანეთის თვალდახუჭული ესმით. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებიდან მხოლოდ მე და ანდრე ოიფერი ნავედით,



ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი იმედინად არის განწყობილი

ლევან ბიბილაშვილი

● ჰოლფსბურგები

ვიზე ჰოლფსბურგში გაიჭორა

ბანალიოს ინგლისში ეპატიჟებია



ტიმ ვიზე (მარცხნივ) და დიეგო ბენალიო

ჰარვერში ეს დაუდასტურებელი სპეკულაცია, მაგრამ ჩვენი გერმანელი კოლეგები, კერძოდ კი გაზეთი „ბილდ“ ირწმუნება, რომ დიდი შანსია, ბრემენის „ვერდერის“ მეკარე ტიმ ვიზე „ჰოლფსბურგში“ გადავიდეს. ეს ჭორი რამდენიმე კვირის წინ გავრცელდა, მაგრამ მაშინ არ მივიჩნიეთ საჭიროდ, რომ დაგვეწერა, რადგან ვიზეს „ჰოლფსბურგში“ გადასვლის არანაირი არგუმენტი არ არსებობდა. ახლა კი ვითარება შეიცვალა: საქმე იმაშია, რომ „ჰოლფსბურგის“ შეიცარიელ მეკარეს, დიეგო ბენალიოს ინგლისური კლუბები ეპატიჟებია.

ბენალიოს რთული სეზონი ჰქონდა - „მგლები“ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებას ძლივს გადაურჩნენ და როგორც ჩანს, 27 წლის შევიცარიელ კიპერს ჰოლფსბურგში დარჩენა აღარ სურს. „ჰოლფსბურგერ ალგემანინე ცაითუნგის“ ცნობით, ბენალიოს რამდენიმე ინგლისური კლუბი ეპატიჟება, ყველაზე მეტად კი ლონდონის „არსენალის“ ხელმძღვანელები აქტიურობენ. „ბილდ“ კი ირწმუნება, რომ ბენალიოს ნასვლა ფაქტობრივად გა-

დანყვეტილი ამბავია, რასაც მაშინვე ვიზეს ტრანსფერი მოჰყვება. ტიმს ჯერ არ უთქვამს, აუცილებლად ბრემენში ვრჩები, რაც იმის მაუნყებელია, რომ საინტერესო ვარიანტის შემთხვევაში ნამსვლელია. „ჰოლფსბურგს“ კი, მისთვის „ვერდერზე“ გაცილებით უკეთესი ფინანსური წინადადებათი მიმართვა შეუძლია. რაც შეეხება სპორტულ მხარეს - ამ მხრივ ბრემენელი კლუბი „ჰოლფსბურგს“ საკმაოდ დიდი ხანია არაფრით ჩამოუვარდება.

ტიმ ვიზე ძალიან კარგი მეკარეა, მაგრამ სანამ დიეგო ბენალიო გვეყავს, მის ყიდვაზე არ ვფიქრობ და არც ვიფიქრებ, - ეს „ჰოლფსბურგის“ მწვინველ ფელქს მაგაიის სიტყვებია. უფრო მარტვად რომ ვთქვათ, მაგათი ვიზეს შეძენაზე მხოლოდ მაშინ დაინწყებს ზრუნვას, თუ ბენალიო წავა. ამ უკანასკნელს კი ნათქვამი აქვს, რომ „ჰოლფსბურგში“ თამაში სიამოვნებას აღარ ანიჭებს.

გოტფრიდ ლანცი

ლევან ბიბილაშვილი



კალათბურთი

ვიქტორ სანიკიძე და პირატისი. სეზონის შეჯამება



საქართველო თსუ-ს ბალეტის

თსუ რუსთავში

1/2 ფინალი

ზესტაფონი-ქუთაისი 57:50

12:17, 11:12, 18:4, 16:17
ზესტაფონი: ჩარგეიშვილი 19ქ...
ქუთაისი: ფორფოლიანი 22ქ...

თსუ-რუსთავი 57:75

15:23, 11:13, 14:18, 17:21
თსუ: სიღამონიძე 21ქ, ცხადია 19ქ...
რუსთავი: აბულაძე 27ქ, ფუტკარაძე 20ქ,
საჯავია 15ქ...

ფინალი

ზესტაფონი-რუსთავი 52:74

14:28, 15:17, 15:11, 8:18
ზესტაფონი: ჩარგეიშვილი 14ქ, ქეთი ქუ-
რაძე 13ქ...
რუსთავი: აბულაძე 30ქ, ფუტკარაძე 20ქ,
საჯავია 14ქ...

საპარტივლოს ქალთა ჩემპიონატის შემდეგ თსუს გათამაშების ჯერიც დადგა. ამ შეჯიბრებაში ოთხი გუნდი მონაწილეობდა: „ზესტაფონი“, თსუ, „რუსთავი“ და „ქუთაისი“.

ჩემპიონატი პირველ ადგილზე გასული გუნდი მეოთხეადგილოსანს დაუპირისპირდა, მეორე - მესამეს. ნახევარფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: „ზესტაფონი“-„ქუთაისი“, თსუ-„რუსთავი“.

იმერულ დერბოში ზესტაფონელმა 57:50 იმარჯვეს და თსუს ფინალში გაკვიდნენ. მოგებულთაგან საუკეთესო 19 ქულით მაია ჩარგეიშვილი გახლდათ, ხოლო ქუთაისელებს 22 ქულით ნელი ფორფოლიანმა ულიდერა. რაც შეეხება მეორე ნახევარფინალურ წყვილს, თსუ-სა და „რუსთავის“ დაპირისპირება ქვემოქართვლთა იოლი გამარჯვებით დასრულდა - 75:57. თსუ-ს რიგებში 21 ქულა რუსუდან სიღამონიძემ მოაგროვა, 19 ქულა კი თიკო ცხადიას ანგარიშზეა. რუსთაველთაგან საუკეთესო 27 ქულით ნათია აბულაძე გახლდათ, 20 ქულა ნათია ფუტკარაძემ მიითვალა, ხოლო ხათუნა საჯავიამ 15 ქულა მოაგროვა.

ამრიგად, საქართველოს თსუს ფინალში ერთმანეთს „ზესტაფონი“ და „რუსთავი“ დაეჭიდნენ. რუსთაველებმა ქვეყნის ჩემპიონსაც აჯობეს (74:52) და საქართველოს თსუს დაეუფლნენ. ფინალის ბომბარდირი ნათია აბულაძე გახდა, რომლის ანგარიშზე 30 ქულაა. ბოლო დროს, რუსთაველებმა ვაჟთა ჩემპიონატი პოზიციები დათმეს, ამდენად გასახარია ამ ქალაქში ქალთა კალათბურთის აღმავლობა.

გვერდი მოამზადა ვაჟ სიმონიშვილმა



ოლ სტარი და იღბალი



დოსია ვიქტორ სანიკიძე

დაიბადა: 01.04.1986
სიმაღლე: 203 სმ
წონა: 86 კგ
ამპლუა: ფორვარდი

კარიერა

- 2002-03 გლობ კოლეჯი (აშშ)/აკადემია (თბილისი)
2003-06 დიუონი (საფრანგეთი)
2006-07 ესტუდიანტესი (ესპანეთი)
2008 დინამო (თბილისი)
2008-09 ტარტუ როკი (ესტონეთი)
2009-11 ვირტუსი (იტალია)
2004 NBA-ს დრაფტზე „ატლანტა“ აიყვანა და „სან ანტონიოს“ დაუთმო.

რეკორდები

Table with 3 columns: 2010-11, სულ სტარი, A-ში (2009-11). Rows list various statistics like points, rebounds, assists, etc.

ვაჟალ მარტი B(2010-11)O

Table with 17 columns: მარტი, ქ, ნთ, ფ, 2ქ-ჩ, 2ქ-ნ, 2ქ-წ, 3ქ-ჩ, 3ქ-ნ, 3ქ-წ, 1ქ-ჩ, 1ქ-ნ, 1ქ-წ, მ-შპ, მ-დ, მ-სა, ღ, რ, შ, კ, მპ. Rows list various basketball statistics.

1/4 ფინალი

Table with 17 columns: სიონა, სიონა, სიონა, სიონა, შპ, საშუალოდ. Rows list statistics for quarterfinal games.

ქ - ქულა, ნთ - ნუთი, ფ - ფოლი, 2ქ-ჩ - ჩაგდებული ორქულიანი, 2ქ-ნ - ნატყორცნი ორქულიანი, 2ქ-წ - ორქულიანის რეალიზების პროცენტი, 3ქ-ჩ - ჩაგდებული სამქულიანი, 3ქ-ნ - ნატყორცნი სამქულიანი, 3ქ-წ - სამქულიანის რეალიზების პროცენტი, 1ქ-ჩ - ჩაგდებული საჯარიმო, 1ქ-ნ - ნატყორცნი საჯარიმო, 1ქ-წ - საჯარიმოს რეალიზების პროცენტი, მ-შპ - მოხსნა შეტევაში, მ-დ - მოხსნა დაცვაში, მ-სა - მოხსნა სულ, მ-ღ - დაფარება, მ-რ - ჩაჭრა, მ-შ - შეცდომა, მ-პ - პასი, მ-მქ - მარგი ქმედების კოეფიციენტი.

ქ - ქულა, ნთ - ნუთი, ფ - ფოლი, 2ქ-ჩ - ჩაგდებული ორქულიანი, 2ქ-ნ - ნატყორცნი ორქულიანი, 2ქ-წ - ორქულიანის რეალიზების პროცენტი, 3ქ-ჩ - ჩაგდებული სამქულიანი, 3ქ-ნ - ნატყორცნი სამქულიანი, 3ქ-წ - სამქულიანის რეალიზების პროცენტი, 1ქ-ჩ - ჩაგდებული საჯარიმო, 1ქ-ნ - ნატყორცნი საჯარიმო, 1ქ-წ - საჯარიმოს რეალიზების პროცენტი, მ-შპ - მოხსნა შეტევაში, მ-დ - მოხსნა დაცვაში, მ-სა - მოხსნა სულ, მ-ღ - დაფარება, მ-რ - ჩაჭრა, მ-შ - შეცდომა, მ-პ - პასი, მ-მქ - მარგი ქმედების კოეფიციენტი.

მსოფლიო ალფი

მატროკაბი



საქართველო-ზიმბაბუე

მზის ბიჭები ამოგაპალი მზის ქვეყნის წინააღმდეგ

„მსოფლიოს ახალგაზრდული ალფის“ გათამაშებაში დღეს ჯგუფური ტურნირის ბოლო შეხვედრები გაიმართება. ყველაზე საინტერესო თამაშს B ჯგუფის ლიდერების, საქართველოსა და იაპონიის ნაკრებების დაპირისპირებაში ელიან. ამ მატჩში გამარჯვებული ჯგუფში პირველ ადგილს დაიკავებს და ფინალში A ჯგუფის საუკეთესოს, სამოას ნაკრებს დაუპირისპირდება. კუნძულელებს თავიანთ ჯგუფში კონკურენციას ვერაინ უნებს.

ამავე ჯგუფში მეორე ადგილის დაკავების შანსი აქვს ურუგვაის ნაკრებს, რომელიც აშშ-ის გუნდს დაუპირისპირდება. თუმცა, ეს სამხრეთამერიკელებს მხოლოდ ტურნირზე მესამე ადგილისთვის ბრძოლის შანსსა დაუტოვებს.

საქართველოს ნაკრებმა აქამდე ორი მატჩი გამართა და ორივე დამარჯვებულად, დიდი ანგარიშით მოიგო. „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა“ ჯამში 11 ლელო გაიტანეს, რაც მიმდინარე გათამაშებაში მეორე შედეგია. სამოელეებმა ორით მეტი ლელო მიითვალეს. ამომავალი მზის ქვეყნის შეილების ანგარიშზე კი 10 ლელოა.

შეგახსენებთ, რომ ამ აქციის ოფიციალური ელემენტი არიან სახელოვანი მორაგებები: ბრაიან პაბანა (სამხრეთ აფრიკა), ვინსენ კლერი (საფრანგეთი), ფელიპე კონტეპოში (არგენტინა), კარლა პოპეა (ახალი ზელანდია) და ჯორჯ სმიტი (ავსტრალია)

იპონელებს, ალბათ, ისევე შერკინების მძლავრი ზენოლით თუ დავაგანბნით. მათი ტიპური მხარეა სწრაფი, კომპინაციური თამაში. ისინი ხშირად ცვლიან იერიშის მიმართულებას, რაც მეტოქეს მუდმივად თავგზას უზღვევს. გუნდში გამორჩეულია შუამარბი ლაფაელე ვაიფუ და ცხრა ნომერი, გუნდის კაპიტანი კეისუკე უჩიდა. სწრაფი და მობილური არიან მორკინალებიც.

საქართველო-იაპონია
საბარტოველი: 15. ბახვა კობახიძე, 14. ზურაბ ძნელაძე, 13. დავით ლოსაბერიძე, 12. გიორგი მარგანი, 11. ლევან გოგოლაძე, 10. კვარაცხელია, 9. ჯიმი ლამბაძე
1. ზურაბ ფვანია, 2. ირაკლი ჩომახაშვილი, 3. ლევან ჩილაჩავა 4. ბექა ბინაძე, 5. კონსტანტინე მიქაუტაძე, 6. გიგა თხილაიშვილი, 7. გიორგი ტყეშელაძე, 8. ლევან თხელიძე
16. მერაბ მატკავა, 17. ზაზა ნავროზაშვილი, 18. გიორგი ფლენი 19. ნიკოლოზ ჩხიკვაძე, 20. რამაზ ჯინაშვილი, 21. უჩა მჭედლოშვილი, 22. გიგა გაგოშვილი
ნაწინა: 15. კენ კუროსავა, 14. მასაკაცუ პიკოსაკა, 13. ლაფაელე ვაიფუ, 12. შუნსუკე ნუნომაკი, 11. კაზუში პანო, 10. რიოდო ნაკამურა, 9. კეისუკე უჩიდა, 1. კენგო კიტავა, 2. იუსუკე ნავაი, 3. მაო ენოკი, 4. იუპო აშია, 5. იოშიპირო სონანაკა, 6. ნაოტუკი ცუჯი, 7. ჯონგი კიმი, 8. ტაცურუ ონადა, 16. პიროკი მურაკავა, 17. პიკარუ შიძიკავა, 18. სონგდანგ ლი, 19. როტა კობაიში, 20. როტარო იოშიკავა, 21. მასაშიტო იმურა, 22. კოკი ნოდა.
მსაჯ.: ხოკიომ მონტესი (ურუგვაი)

რუსეთის ნაკრების რთული არჩევანი

ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასის გათამაშებაში, ჯგუფური ტურნირში საქართველოს ნაკრების პირველი მეტოქე შოტლანდიის ეროვნული გუნდი იქნება. „ნარმაგების“ მთავარმა მწვრთნელმა ენდი რობინსონმა რამდენიმე დღის წინ გუნდის გაფართოებული, 40-კაციანი სია გამოაქვეყნა, რომელთაგან შინ, შოტლანდიაში 10 უნდა დატოვოს.

რაგბის შოტლანდიელმა ექსპერტმა იან მორისონმა, სკოტების მთავარი გუნდის მორაგებების თავისებური ანალიზი გააკეთა და 30-კაციანი სავარაუდო შემადგენლობა დაასახელა. მორისონის აზრით, რობინსონი პირველი ხაზის მოთამაშეების არჩევისას, ისე მოიქცევა, როგორც მწვრთნელების აბსოლუტური უმრავლესობა. წესით, მან ახალ ზელანდიაში სამ-სამი შერკინების ბურჯი და კვაჭი უნდა წაიყვანოს. კვაჭის ანუ №2-ის პოზიციაზე, მას ზუსტად თანაბრად ძლიერი სამი მოთამაშე უნდა ჰქონდეს, როს ფორდი, სკოტ ლუსონი და დავ ჰალი. მეოთხე კანდიდატი ფერგიუს ტომსონი დაშვება და მსოფლიო თასის გათამაშებამდე ვერ გამოჯანმრთელდება.

კიდევ უფრო მარტივად და საქმე მეორე ხაზში. აქ, ალისტერ კელოკის, რიჩი გრეის, ნათან პინესისა და ჯიმი ჰემილტონის ოთხეულს კონკურენტი არ უყავს. განსხვავებული სურათია მესამე ხაზში. რობინსონმა გაფართოებულ შემადგენლობაში ამ პოზიციის რვა მოთამაშე შეიყვანა, აქედან, სავარაუდოდ, ახალ ზელანდიაში ექვსი წავა. ჯონ ბარკლის და კელი ბრაუნს, ალბათ, არაფერი ემუქრებათ, ისინი საუკეთესო მესამეხაზელები არიან და წლევანდელი სეზონიც კარგი ჰქონდათ.

რობინსონი ყურადღებით უნდა დააკვირდეს დევიდ დენტონს და ჯონ ბიტს. ეს უკანასკნელი ბოლო ხანს ტრავმებმა შეანუხა და სათანადო ფორმაში არ არის, თუმცა მას დიდი გამოცდილება აქვს და „ნარმაგების“ თავკაცის ფავორიტია. ალასდაირ სტრკოში, ალბათ, მსოფლიოზე აუცილებლად იასპარეზებს, ის შუაპოზიციის უკომპრომისო თამაშის მანერით გამოირჩევა და ასეთ მორაგებებზე ყველგან დიდი მოთხოვნაა. დარჩენილი ორი ადგილისთვის კი საკმაოდ მწვავე კონკურენციაა მოსალოდნელი რიჩი ვერნონს, როს

რენისა და რობ პარლის შორის. პარლის, სხვებთან შედარებით, ალბათ, მაინც ნაკლები შანსი აქვს, რჩეულთა შორის მოხვდეს. გუნდში სულ ორი მგზავია, რუარიდ ჯექსონი და დენ პარქსი. შუამარბის პოზიციაზე წლეულს შესანიშნავი თამაში გაიმყარეს პოზიციები გრემ მორისონმა და ჯო ანსბრომ. საკმაოდ ფერმკრთალი სეზონი ჰქონდა კიდევ ერთ შუამარბ ნიკ დე ლუკას, რომელმაც ახალ ზელანდიაში მოსახვედრად, შონ ლამონტისა და მაქს ევანსის კონკურენციას უნდა გაუძლოს.

თითქმის ყველაფერი გარკვეულია გარემარბებშიც. ყველაზე დიდი პრობლემები კი ენდი რობინსონს შერკინების ბურჯისა და ცხრა ნომრის პოზიციაზე აქვს. კრის კაზიტერი ცხრა ნომრის პოზიციაზე ყველაზე სასურველი კანდიდატია. ის ამჟამად ავსტრალიაში იმყოფება და იქაურ ჩემპიონატში თამაშობს. „ნარმაგების“ თავკაცს იმედი აქვს, რომ კრისი „მწვანე კონტინენტიდან“ ბევრად უკეთ განსწავლული დაბრუნდება. ამავე პოზიციაზე მოიაზრება რორი ლოუსონი, რომელიც შესანიშნავად თამაშობს ფეხით.

ფულბეკად რობინსონს გრეგ ლიდლოუ და კრის პატერსონი უყავს შეგულეული, თუმცა ამ პოზიციაზე პრეტენზიას რორი ლამონტიც აცხადებს. კიდევ ერთი თავსატეხი შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელს შერკინების პირველ ხაზში აქვს. თუმცა, სავარაუდოდ, ის უპირატესობას მაინც ალენ იაკობსენს, ევან მურეის და ჯეფ კროსს მიანიჭებს.

შეგახსენებთ, რომ „ბორჯღალოსნები“ მსოფლიო თასზე „ნარმაგებს“ 14 სექტემბერს ინვერკარგილში დაუპირისპირდებიან.



მარჯვნივ ენდი რობინსონი

არგენტინა ყველას ემუქრება

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს თასის გათამაშების დაწყებამდე სამ თვეზე მეტია დარჩენილი, არგენტინის ნაკრების მოთამაშეებმა და მწვრთნელებმა უკვე დააფიქსირეს თავიანთი პოზიცია მომავალ ბატალიტთან დაკავშირებით.

მსოფლიოს თასის გათამაშების გამარჯვებულების დამარცხების გეგმაც.



არგენტინის ნაკრები


„ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ მხოლოდ ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩზე, რომელსაც საქართველოს ნაკრებთან ვაგმართავთ. არგენტინის ნაკრების მოთამაშეთა ყველა ფიქრი ინგლისის ნაკრებთან პირველ შეხვედრაზე უნდა იყოს კონცენტრირებული. თუ „პომები“ კარგად ვითამაშებთ, ვფიქრობ, გვუფურ ტურნირში მოვლენები ჩვენს სასარგებლოდ განვითარდება“, - თქვა არგენტინელთა პირველხაზელმა როდრიგო რონსერომ.

კიდევ უფრო შორს წავიდა „პომების“ კაპიტანი, მგზავი ფელიპე კონტეპოში: „დარწმუნებული ვარ, რომ თუ კარგად მოვემზადდებით, შეგვიძლია ინგლისის ნაკრებს მოეუგოთ. „პომები“ და შოტლანდიის ეროვნული გუნდი მსოფლიო რეიტინგში ჩვენზე წინ არიან, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მეოთხედფინალში გასვლის შანსი არ გვაქვს. გარწმუნებთ, ჩვენ უკეთესი გუნდი გვყავს ვიდრე მათ.“

არგენტინის ნაკრებმა მსოფლიო თასისთვის მზადება უკვე დაიწყო. მთავარმა მწვრთნელმა სანტიაგო ფელანმა ბუენოს აირესთან ახლოს სარაგბო კლუბ „ბელგრანო ატლეტიკის“ ბაზაზე შეკრიბა. ახალ ზელანდიური ბატალიების დაწყებამდე „პომები“ რამდენიმე საწვრთნელ შეხვედრას გამართავენ.

შეგახსენებთ, რომ „ბორჯღალოსნები“ არგენტინელებს ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩში 2 ოქტომბერს დაუპირისპირდებიან.

გვირდი მოამზადა ბესიკ ჯანაშვილი



შპს



ვინიპეგში დიდი ჰოკეი ბრუნდება

ოფიციალურად: ატლანტა ვინიპეგში გადავიდა

შპს-ის ეროვნული ლიგის რუკაზე მეშვიდე კანადური კლუბი გაჩნდა. როგორც მოსალოდნელი იყო, NHL-ის კლუბი „ატლანტა ტრეშერზის“ მფლობელები მოელაპარაკნენ ჯგუფ True North-ს, რომელიც ქალაქ ვინიპეგს წარმოადგენს. გარიგება 170 მილიონ დოლარად არის შეფასებული. ამ თანხიდან 110 მილიონს მიიღებენ „ტრეშერზის“ ან უკვე ყოფილი მფლობელები, კიდევ 60 მილიონი NHL-ის ანგარიშზე გადაირიცხება - ეს იქნება კლუბის ერთი ქალაქიდან მეორეში გადაბარების საფასური.

თავის მხრივ, ჰოკეის ეროვნული ლიგა კლუბების მფლობელთა შორის ხმის მიცემის პროცედურას ჩაატარებს. აქ ვინიპეგს 30-დან მინიმუმ 22 ხმის მიღება დასჭირდება გარიგების ოფიციალურად გასაფორმებლად. თუმცა ეს ფორმალობაა, რადგან კლუბების უმრავლესობამ წინასწარვე დაუჭირა მხარი NHL-ში ვინიპეგის საიმედო პარტნიორის გამოჩენას.

ახალი გუნდი ვინიპეგის არენა MTS Centre-ში ითამაშებს, რომელიც 15 015 მაყურებელს იტევს. რაც შეეხება კლუბის სახელწოდებას, ის ჯერ შერჩეული არ არის, თუმცა წინასწარი ცნობით, „ატლანტა ტრეშერზი“ მანიტობა ჯეტს „სი“ გახდება. მომავალ სეზონში გუნდი „ატლანტას“ ადგილს დაიკავებს სამხრეთ-აღმოსავლეთის კონფერენციაში. ყველა მითამაშის, მწვრთნელებისა და მენეჯმენტის წევრთა კონტრაქტები ამიერიდან ახალ კლუბს ეკუთვნის.

ფორმულა 1

გუნდებს დაქვემდებარე არ აქვს ხელს



ბოლო რამდენიმე კვირა, ფორმულა 1-ის წრეებში აქტიურად განხილავდნენ ნლეგანდელი სეზონის 11 დეკემბრამდე გაგრძელების შესაძლებლობას. მოგახსენებთ, „სამეფო სერის“ ორგანიზატორები სწორედ ამ დღისთვის აპირებენ ინდოეთის გრანპრის გადატანას, ხოლო აქამდე ინდოეთისთვის განკუთვნილ 16 ოქტომბრის ბაჰრეინის ეტაპს მისცემენ. შევასხენებთ, რომ საპირში რობოლა ბაჰრეინში შექმნილი რთული პოლიტიკური სიტუაციის გამო არ ჩატარდა.

დღეს ვინიპეგში გაიმართება პრესკონფერენცია, სადაც ახალი მფლობელები ერთი ქალაქიდან მეორეში გადასვლის ყველა დეტალს გაამჟღავნებენ.

ცნობილია, რომ NHL-ის ორი კლუბი - „დეტროიტი“ და „კოლამბუსი“ იმ ქალაქებში თამაშობენ, რომლებიც ამერიკის აღმოსავლეთ სარტყელში მდებარეობენ, თუმცა კლუბები იძულებულნი არიან დასავლეთის კონფერენციაში ითამაშონ.

ეს გარკვეულ სირთულეებს წარმოქმნის როგორც მოთამაშეებისთვის, ასევე ტელემაყურებლებისთვის. ჰოკეისტებს ქალაქებს შორის დიდი მანძილის დაფარვა უნევთ, მაყურებელს კი მატჩების არაკომფორტულ დროში ყურება.

გარდა ამისა, „დეტროიტი“ ეგრეთ წოდებული „დიდი ექვსეულის“ წევრია და უნდა აღმოსავლეთში გადავიდეს, რათა უფრო ხშირად შეხვდეს ამ ექვსეულის სხვა წევრებს - „რეინჯერსს“, „ტორონტოს“, „მონრეალს“ და „ბოსტონს“.

„რედ უინგზის“ გენერალურმა მენეჯერმა კენ ჰოლანდმა დაადასტურა კლუბის მხრიდან კონფერენციის შეცვლის სურვილი, თუმცა დაამატა, რომ NHL-ს ამის გამო არ შეხმაინება.

„ატლანტას“ ვინიპეგში გადასვლით „დეტროიტს“ მართლაც გაუჩნდება აღმოსავლეთში გადაბარების საშუალება, მაგრამ ეს 2012-13 წლების სეზონზე ადრე არ მოხდება.

ბრიუზუს მონაბრაებულები

ხმალი იწყება ჰოკეის ეროვნული ლიგის ფინალური სერია, რომელშიც „ვანკუვერი“ და „ბოსტონი“ ხვდებიან ერთმანეთს. ორივე გუნდს დიდი ხანია არ უთამაშია ამ დონეზე - „კენაქსისთვის“ ეს არის პირველი ფინალი ბოლო 17 წლის განმავლობაში, „ბოსტონი“ კი 21 წლის შემდეგ პირველად ითამაშებს გადაწყვეტ სერიას. რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულ „ვანკუვერს“ საკუთარი მოედნის უპირატესობა ექნება.

1994 წელს „რეინჯერსთან“ ნაგებული ფინალის შემდეგ „ვანკუვერს“ პლეი ოფის მეორე წრეზე შორს არ გაუღწევია, მაგრამ წელს ეს გუნდი მზად არის არსებობის ისტორიაში პირველი თასის მოსაპოვებლად, რაც მან დაამტკიცა კიდევ პირველ წრეში მოქმედი ჩემპიონის „ჩიკაგოს“ დამარცხებით.

შემდეგ იყო გამარჯვებები „ნეშვილთან“ და „სან ხოსესთან“. საინტერესოა, რომ ყოველ მომდევნო წრეში „ვანკუვერს“

ოთხიდან სამი და ბოლო ექვსიდან ოთხი შეხვედრა. ამ სტატისტიკით „დათვები“ ფავორიტები არიან.

მაგრამ არ უნდა დაგავიწყდეს, რომ „ვანკუვერი“ წელს რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა, რითაც საკუთარი მოედნის უპირატესობა მოიპოვა. მიმდინარე პლეი ოფში „კენაქსმა“ ათი საშინაო მატჩიდან შვიდი მოიგო. „ბოსტონმა“ რვაჯერ ითამაშა სტუმრად და ხუთჯერ გაიმარჯვა.

თუმცა ოკეანის გაღმა ექსპერტები დარწმუნებულნი არიან, რომ სერია შვიდი მატჩი არ გაგრძელდება. ფავორიტად მათ „ვანკუვერი“ მიაჩნიათ, რომელიც ექვს შეხვედრაში გაიმარჯვებს.

ფინალი სიფრავში

0 - 1970 წლიდან მოყოლებული „ვანკუვერს“ არასოდეს მოუგია სტენლის თასი. სწორედ ამ წელს დაარსდა ეს კანადური კლუბი. ასეთივე ისტორია აქვს „ბაფალო სიერზს“ - ასევე 41 წლის წინ

მონაწილეობა დასჭირდა და „ბრუინზმა“ შვიდივე შეხვედრა მოიგო. პორტონის ანგარიშზე სამი გამარჯვების შაბაა. ორჯერ ოვერთაიმში გადაწყვიტა თამაშის ბედი და ორჯერ სერიის მეშვიდე მატჩში.

9 - რეგულარულ სეზონში ცხრა შათაუტი შეასრულა ტომასმა, რაც რეინჯერსელი ჰენრიკ ლუნდკვისტის შემდეგ მეორე შედეგია. ლუონგომ ოთხი „მშრალი“ მატჩი ჩაატარა.

10 - „ბოსტონის“ ფორვარდი დავიდ კრეისი „ტამპას“ ფორვარდ მარტინ სენტ-ლუსიანთან ერთად ათი გოლით ლიდერობს სწრაფი ტაქტიკის „ვანკუვერში“ ყველაზე მეტი გოლი დანიელ სედინს აქვს გატანილი - რვა.

12 - ამდენი საგოლე პასი შეასრულა „ვანკუვერის“ კაპიტანმა ჰენრიკ სედინმა „სან ხოსესთან“ ხუთმატჩიან სერიაში. შვიდი პლეი ოფის ლიდერია ქულების (21) და შედეგებიანი გადაცემების (19) რაოდენობით.

ვანკუვერი ფინალისთვის ემზადება



სულ უფრო ნაკლები მატჩი სჭირდებოდა სერიის მოსაგებად: „ჩიკაგოსთან“ შვიდი თამაში (თუმცა „კენაქსი“ 3:0 იგებდა სერიას), „ნეშვილთან“ - ექვსი და „სან ხოსესთან“ - ხუთი. თუმცა ფინალურ სერიაში „მშრალი“ ანგარიშით მოგებაზე ლაპარაკი ზედმეტია.

„ბოსტონმა“ სტენლის თასის ფინალში ბოლოს 1990 წელს ითამაშა და ხუთ მატჩში ნააგო ლეგენდარული მარკ მესიეს „ედმონტონთან“. საპატიო პრიზი კი „დათვებმა“ ბოლოს 1972 წელს მოიგეს, როცა მათ შემადგენლობაში ბობი ორი და ფილ ესპოზიტო ბრწყინავდნენ.

„ბოსტონს“ უფრო რთული გზა ჰქონდა ფინალამდე. პირველ და მესამე წრეში, შესაბამისად „მონრეალთან“ და „ტამპა ბეისთან“ მას შვიდი მატჩის ჩატარებამ მოუწია, სამაგიეროდ, მეოთხედფინალში 4:0 გაანადგურა „ფილადელფია“.

„ბრუინზის“ კოხორია ძლიერი დაცვა და მეკარე ტიმ ტომასის ბრწყინვალე თამაში. თუმცა „ტამპასთან“ სერიაში „ბოსტონმა“ დაამტკიცა, რომ შეტევაშიც ყველაფერი წესრიგში აქვს - შვიდ მატჩში 21 შაბა.

საინტერესოა, რომ „ვანკუვერსა“ და „ბოსტონს“ აქამდე პლეი ოფში ერთმანეთის წინააღმდეგ არ უთამაშიათ. წლებში რეგულარულში ისინი ერთხელ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და ვანკუვერი გამარჯვდა „ბოსტონს“ დარჩა - 3:1, ბოლო მატჩების შედეგებს თუ გადავხედავთ, „ბრუინზმა“ მოიგო ბოლო

ჩამოყალიბდა და მასაც არ მოუპოვებია სტენლის თასი.

1 - „ბოსტონის“ მეკარე ტიმ ტომასს კარიერაში სამჯერ უთამაშია „ვანკუვერის“ წინააღმდეგ და ერთადერთი გოლი აქვს გაშვებული - 26 თებერვალს 3:1 მოგებულ მატჩში.

ტომასი და „ვანკუვერის“ მეკარე რობერტო ლუონგო პლეი ოფის ლიდერები არიან - ისინი საშუალოდ მატჩში 2.29 შაბას უშვებენ.

4 - „ბოსტონმა“ ამ პლეი ოფში ოთხი მატჩი მოიგო ოვერთაიმში. „დათვებს“ დამატებით დროში ნაგება არ აქვთ. „ვანკუვერს“ ოვერთაიმებში მოგება და 2 ნაგება აქვს.

5 - ზედიზედ ხუთი ფინალური სერია აქვს ნაგებული „ბოსტონს“: 1974 წელს „ფილადელფიასთან“; 1977 და 1978 წლებში „მონრეალთან“ და 1982 და 1990 წლებში „ედმონტონთან“. ორი ფინალი ნააგო „ვანკუვერმა“: 1982 წელს „ილინდერსთან“ და 1994 წელს „რეინჯერსთან“.

6 - ამ პლეი ოფში „კენაქსსა“ და „ბრუინზს“ 6-ნაგება აქვთ. „ვანკუვერმა“ სამი მატჩი დათმო „ჩიკაგოსთან“, ორი - „ნეშვილთან“ და ერთიც „სან ხოსესთან“. „ბოსტონი“ სამ-სამჯერ და მარცხდა „მონრეალთან“ და „ტამპა ბეისთან“ და „მშრალი“ ანგარიშით მოუგო სერია „ფილადელფიას“.

7 - ბოლო სამი წლის განმავლობაში „ვანკუვერი“ ზედიზედ შვიდ სერიაში იგებს გახსნის მატჩს.

8 - ამდენი გოლი გაიტანა ბოსტონელმა ნათან პორტონმა მიმდინარე პლეი ოფში. ამისთვის მას შვიდ მატჩში

14 - რეგულარულში ამ გუნდების მონაგარს შორის სხვაობა 14 ქულა იყო - „ვანკუვერს“ 117 ქულა ჰქონდა, „ბოსტონს“ - 103. პირველად ფინალურ სერიაში „კენაქსს“ საკუთარი მოედნის უპირატესობა ექნება. კანადურმა კლუბმა წელს პირველად მოიგო რეგულარული ჩემპიონატი. წინ ორ ფინალურ სერიაში „ვანკუვერი“ რეგულარული ჩემპიონის ხვდებოდა.

22 - ბოლოს 22 წლის წინ მოიგო გუნდმა სტენლის თასი, როცა შემადგენლობაში არ ჰყავდა თასის არც ერთი მფლობელი. ეს გუნდი იყო „კალგარი ფლეიმიზი“. „ვანკუვერისა“ და „ბოსტონის“ შემადგენლობაში ასეთი თითო მითამაშა - მიკაელ სამუელსონი და მარკ რეკი. სამუელსონს „დეტროიტში“ აქვს მოგებული სტენლის თასი, რეკის „პიტსბურგსა“ (1991) და „კაროლინაში“ (2006).

25 - ეს გუნდები 108-ჯერ შეხვედნენ ერთმანეთს რეგულარულში (პლეი ოფში პირველად ხვდებიან) და „ვანკუვერს“ 25 მოგება აქვს. ასე ცოტა მოგება „კენაქსს“ არც ერთ სხვა გუნდთან არ აქვს.

39 - ბოლოს სწორედ 39 წლის წინ მოიგო „ბოსტონმა“ სტენლის თასი. მაშინ „ვანკუვერი“ მხოლოდ მეორე სეზონს ატარებდა ჰოკეის ეროვნულ ლიგაში.

182 - რეკი ერთადერთი ჰოკეისტია ორივე გუნდის შემადგენლობაში, ვისაც პლეი ოფში 100-ზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული.

გვერდი მოაზრდა გაა თვალი აკეთებინა

პროფესიონალიზაცია

კალათბურთი. NBA ფინალის წინ

დიდი ფინალი დაიწყო



წევს. იმის გათვალისწინებით, რომ „დალასი“ შესანიშნავად ისვრის შორიდან, ეს შეიძლება გადაწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდეს ფინალურ სერიამი.

„მაიამის“ კოზირებზე ლაპარაკისას უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი - აუცილებლად გასათვალისწინებელია ლებრონ ჯეიმსის ფაქტორი. „მეფე გვირგვინის გარეშე“ - ეს კომპლექსი ყოველწლიურად სულ უფრო მძიმე ხდება ლებრონისთვის. „მაიამიში“ სწორედ ჩემპიონობის მოსაგებად მოვედი, - აღიარა „დალასთან“ სერიის წინ ჯეიმსმა. - სეზონის დასაწყისში ბევრი რამ არ გამოვედიოდა, მაგრამ ახლა შუთამაშებულები ვართ და კარგად გვევლის ერთმანეთის. არ ვცდილობ ყოველ მატჩში 30 ქულის დაგროვებას. პირადი სტატისტიკა არ მანიჭერებს. ერთადერთი, რაც მინდა - საჩემპიონო ბეჭედია.

დღეს, თბილისის დროით დღის ხუთ საათზე დაიწყო ფინალური სერია „მაიამი ჰიტსა“ და „დალას მავერიქსს“ შორის. ეს არის 2006 წლის ფინალის გამეორება. მაშინ „ჰიტმა“ საკმაოდ იოლად მოიგო სერია, მიუხედავად იმისა, რომ თავიდან 0:2 ჩამორჩა. ამჯერადაც ფავორიტად „მაიამი“ მიჩნევა, თუმცა რეგულარულ ჩემპიონატში „დალასმა“ ორივეჯერ მოუგო თავის დღევანდელ მეტოქეს.

ხუთი წლის წინანდელი ფინალის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. თითოეულ გუნდში იმ დაპირისპირებიდან ორ-ორი კალათბურთელი შემორჩა: „მაიამიში“ დუეინ უეიდი და უდონის ჰასლევი, „დალასიდან“ - დირკ ნოვიციკი და ჯეისონ ტერი. თუ უეიდი ყოველ მატჩში სულ უფრო უარესად თამაშობს, გერმანელი ბრწყინვალე ფორმში იმყოფება.

თუმცა „ჰიტს“ ჰყავს ლებრონ ჯეიმსი. ასეთი კადრი „მავერიქსის“ შემადგენლობაში არ მოიძებნება, სამაგიეროდ ტექსასელებს გრძელი სათადარიგოთა სკამი აქვთ. სწორედ ეს არის „დალასის“ კოზირი და მთავარი საკითხი მომავალ დაპირისპირებაში: შეძლებს თუ არა „დიდი ტერი“ არ ჩაიკარგოს „დალასის“ ღრმა რეზერვში?

პლეი ოფის მატჩებში უეიდს, ჯეიმსსა და კრის ბოშს შეტყევაში მხარდაჭერა თითქმის არ აქვთ. მაიკ ბიბი, მაიკ მილერი და ჯეიმს ჯონსი იერიშებისას დიდად ვერ ბრწყინებენ. განსაკუთრებით ცუდად არის საქმე სამქულისანების მხრივ. თუ რეგულარულ ჩემპიონატში ჯონსი საშუალოდ მატჩში ოთხ შორეულ ტყორცნას ათავსებდა კალათში, პლეი ოფში ეს მაჩვენებელი ორსაც ვერ აღ-

კრიზი

ოქროს ბიჭის დასვა


ოსკარ დე ლა ჰოია მოკრიბვით იმ მრავალრიცხოვან ჯგუფს შეუერთდა, რომლებიც კარიერის დასრულების შემდეგ ნარკოდამოკიდებულება განადგურდა.

რამდენიმე წლის წინ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლეგენდარული მოკრივე, ამჟამად ერთ-ერთი უმსხვილესი პრომოუტერული კომპანიის შიფტი ოსკარ დე ლა ჰოია ნებაყოფლობით გაემგზავრა კლინიკაში, სადაც ნარკოტიკულ დამოკიდებულებას მკურნალობს.

ეს ახალი ამბავი ნამდვილი შოკი გახდა კრივის მოყვარულთა გარკვეული ნაწილისთვის, მაგრამ არა ყველასთვის. ადამიანებმა, რომლებიც ყურადღებით ადევნებენ თვალს ახალ ამბებს და ინტერესდებიან სპორტის ამ სახეობის ისტორიით, კარგად იცნან, რომ პირველი შემთხვევა არ არის, როცა დიდი მოკრივე კარიერის დასრულების შემდეგ ნარკოტიკებს ეძალებოდა. მაგალითისთვის შორს წასვლა საჭირო არ არის: სულ „ცინცხალი“ ორი ამბავი ბრიტანელი მოკრივეების ჯო კალ ზაგესა და რიკი ჰატონის სახელს უკავშირდება. მათმა „ურთიერთობამ“ ნარკოტიკებთან დიდი რეზონანსი გამოიწვია.

ორივე შემთხვევაში მიზეზი თითქმის ერთნაირია. ჰატონის თქმით, კარიერის დასრულების შემდეგ ის დიდი ხანი ვერ ურიგდებოდა იმას, რომ ახალი ცხოვრება ელოდა - ცხოვრება მრავალათასიანი პუბლიკის გარეშე, რომელიც მოკრივის სახელს სკანდირებს და მისგან მხოლოდ გამარჯვებას ელოდება. ზოგიერთი მოკრივე, რომელსაც წინ ასეთი სიცარიელე ხვდება, ძველი დიდების დაბრუნებას ცდილობს და ისევ ადის რინგზე, რასაც უშეტეს შემთხვევაში კარგი არაფერი მოაქვს. მაგრამ არსებობს კიდევ უფრო დამლუხველი გზა, რომელიც თითქოს ნათელს ხდის ცხოვრებას, მაგრამ სინამდვილეში, ყველაფერი მუქ ფერებშია ჩაფლული. სწორედ ეს გზა აირჩია რიკი. თავის მხრივ, უელსელმა ჯო კალ ზაგემ კოკინისადმი მიდრეკილება დისციპლინისა და კონცენტრაციის დაკარგვას დააბრალა - უბრალოდ ეს თეიკებები აღარ ვახდის საჭირო კრივიდან წასვლის შემდეგ.

რა მოუვიდა „ოქროს ბიჭს“, ოსკარ დე ჰოიას? რამ გამოიწვია ეს კრიზისი?



ოსკარ დე ლა ჰოია

სხვა მოკრივეებისგან განსხვავებით, ოსკარი ვერ კიდევ პროფესიულ დონეზე გამოსვლისას ზრუნავდა მომავალზე. მას ველოსიპედის გამოგონება არ უცდია და მომავალი დაუკავშირა იმ საქმეს, რომელიც ყველაზე კარგად იცოდა - კრიგს. ასე რომ, კარიერის დასრულების შემდეგ კომპანია Golden Boy Promotions დე ლა ჰოიასთვის ერთგვარი „მამული ნრე“ გახდა, რომელიც კრივის გარეშე ცხოვრებაში ჩაძირვის საშუალებას არ აძლევდა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ კრივის სამყაროში დარჩა, ოსკარს დააკლდა ის მძაფრი შეგრძნება, რომელსაც მხოლოდ რინგზე გასვლისას იღებ.

დიდი ხანი „ოქროს ბიჭი“ უარყოფდა დიდ სპორტში დაბრუნების შესაძლებლობას, ამბობდა, რომ ჭორები რიკი ჰატონთან შესაძლო დაპირისპირებაზე - სრული ბოდიშაა. მაგრამ მარტის დასაწყისში ოსკარმა სენსაციური ინტერვიუ მისცა, რომელშიც განაცხადა, რომ სულ ცოტა ხნის წინ მზად იყო რინგზე დასაბრუნებლად, მაგრამ ამ გეგმის განხორციელებაში ზურგის ძველმა ტრავმამ შეუშალა ხელი.

სწორედ აქ ამოტივტივდა ზედაპირზე პოტენციური მიზეზი, რის გამოც დე

ლა ჰოია კლინიკაში მოხვდა ნარკოტიკულ დამოკიდებულებაზე სამკურნალოდ. ის უკვე ზეიმობდა რინგზე დაბრუნებას, როცა ზურგში ლახვარივით ჩაესო ძველი ტრავმა. ამან მის გეგმებს ხაზი გადაუსვა - ამ სიტუაციაში დე ლა ჰოიამ ისეთი სიტუაციები იგრძნო, როგორც მოკრივეებს კარიერის დასრულების შემდეგ აქვთ. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მისი გამოსვლა მაშინ დასრულდა, როცა ჯერ დაწყებულ იქნა რიგითი კრივი.

შესაძლოა, ნარკოტიკებისადმი მიძახების სხვა მიზეზიც არსებობს. ზუსტად არავინ იცის, რამ გამოიწვია ეს მავნე ჩვევა, მაგრამ ვარაუდობენ, რომ „ოქროს ბიჭი“ სწორედ იმ ვხას დაადგა, რომელიც ბევრმა სხვა მოკრივემ აირჩია. ეს ხომ პროფესიულ კრივი უკვე ტრადიციად ჩამოყალიბდა...

და მაინც, ოსკარ დე ლა ჰოია შექმნის იმასაფრებს იმის გამო, რომ დროულად გააცნობიერა პრობლემა და მიხვდა, თავისი ძალებით ამას ვერ გაუმკლავდებოდა. იმედია, ის სულ მალე გამოჯანმრთელდება და პრომოუტერულ საქმიანობას დაუბრუნდება.

გვერდი მოამზადებთ თქვენსადასრულებს

სხალი სპორტი

Table with 2 columns: Under 21, Under 19, Under 20, Under 18 and various sports events.

Table with 2 columns: Under 21, Under 19, Under 20, Under 18 and various sports events.

Table with 2 columns: Under 21, Under 20, Under 18 and various sports events.

Table with 2 columns: Under 21, Under 20, Under 18 and various sports events.

TV პროგრამა

Table with 2 columns: 1 ივნისი, მოსახალი, GMG-შხხხხხხხ and various TV programs.

Table with 2 columns: HTB-პლუსი (საქობი) and various TV programs.


Table with 2 columns: GMG-საქობი and various TV programs.

Table with 2 columns: EUROSPORT and various TV programs.

მოგებერთი

ანა ისავ ითაგაშავს

სასიმამიძემ ამბავი შეიტყო რუსმა ჩოგბურთელმა ანა ჩაკვეტაძემ - ექიმებმა WTA-ის რეიტინგის საუკეთესო ათეულის ყოფილ წევრს კარიერის განახლების ნება დართეს. შეგახსენებთ, რომ ჩაკვეტაძემ პაუზა მას შემდეგ აიღო, რაც 16 თებერვლიდან 19 აპრილამდე სხვადასხვა ტურნირის მატჩებში სარეიტინგო დაკარგვა გონება. ჩოგბურთელის მამის ჯემალ ჩაკვეტაძის თქმით, ექიმებმა მის ქალიშვილს მიუდინარე გასვლის უფლება მისცეს.



რომელიმე ისეთ ტურნირზე, რომელიც ბალახის კორტზე იმართება, - ამბობს ჯემალ ჩაკვეტაძე. ბალახის სეზონი როლან გაროსის დასრულების შემდეგ, 5 ივნისს დაიწყება.

რაც შეეხება ჩოგბურთელის ავადმყოფობას, მამამისმა განაცხადა, რომ ყველაფერი ყურის ანთების ბრალი იყო. ანამ უკვე იმკურნალა და ტესტიც ჩააბარა. „ახლა უნდა შევამოწმო, სწორედ ეს იყო ნამდვილი მიზეზი თუ კიდევ სხვა რამ არსებობს“, - ამბობს ჩოგბურთელის მამა.

ერთ დროს ჩაკვეტაძემ მსოფლიოს მეხუთე რიგანი იყო, ახლა კი კლასიკური ციკლი 48-ე ადგილს იკავებს. კარიერის განმავლობაში მას WTA-ის რვა ტურნირი აქვს მოგებული.



ანა ჩაკვეტაძე

